ადამიანის უფლებები საგანგებო მდგომარეობის პირობებში



ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: ლაზარე ჯიბლაძე
რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი

სარჩევი

შესავალი 3
21 მარტს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დასაბუთებულობა 4
საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვები 6
კომენდანტის საათის დაწესების საჭიროება 7
პარლამენტის მუშაობა კორონავირუსის პირობებში 10
ადამიანის უფლებები კორონავირუსით შექმნილი ეკონომიკური კრიზისის პირობებში 12
კორუფცია და კორონავირუსი 14
კორონავირუსის გავლენა განათლების უფლებაზე 15
პენიტენციური დაწესებულებები 17
მედიის მუშაობა საგანგებო მდგომარეობისას 19
კორონავირუსის ზეგავლენა სასამართლოს ხელისუფლების ფუნქციონირებაზე 20
საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება 22
ანტიკრიზისული გეგმა 23
დასკვნა 25

შესავალი

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ახალი კორონავირუსის ეპიდემიამ პიკს მიაღწია. ეკონომისტები, პოლიტოლოგები და ფილოსოფოსები, უკვე გამოთქვამენ მოსაზრებებს, თუ როგორი შეიძლება იყოს ხვალინდელი დღე. მოვლენების განვითარების შესახებ არსებობს არაერთი მოსაზრება, მათ შორის - ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარებით. თუმცა, ამ გლობალური პანდემიის შედეგების სრული ანალიზი, ალბათ, ვირუსის სრულად დამარცხების შემდეგ თუ გახდება შესაძლებელი.

ახალი კორონავირუსის - COVID19-ის პანდემიასთან გამკლავებისთვის საჭირო, დღემდე ყველაზე გაზიარებული და ეფექტური მეთოდი ფიზიკური დისტანციაა. ადამიანებს უჭირთ, იცხოვრონ განსხვავებული სოციალური წესებით და ერთმანეთისგან შორს დაიჭირონ თავი. ე. წ. სოციალური დისტანციის დასაცავად ხელისუფლებებს სპეციალური რეჟიმების დაწესება, არასტანდარტული ღონისძიებების გატარება და სახელმწიფოს არაორდინალური მმართველობა უწევთ. ასეთი მდგომარეობა აისახება ქვეყანაში მცხოვრებ თითოეულ ადამიანზე და ეს გამოიხატება მათი ძირითადი უფლებების შეზღუდვაში, რაც კაცობრიობამ დიდი ხნის ბრძოლით მოიპოვა და დღეს ისინი კონსტიტუციითა და სხვა საერთაშორისო აქტებით არის გარანტირებული.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჯერ გლობალურ საფრთხედ, შემდეგ კი პანდემიად გამოცხადებული ახალი კორონავირუსი მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში გახდა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზეზი. ოფიციალურად ასეთი ქვეყნების ჩამონათვალს საქართველო 2020 წლის 21 მარტს შეუერთდა, როცა ქვეყნის პრეზიდენტმა, პრემიერ მინისტრის წინასწარი წარდგინებით, გამოსცა N1 ბრძანება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“, რასაც იმავე დღეს საქართველოს პარლამენტმა საკუთარი დადგენილებით დაუჭირა მხარი. აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსით იქნა მიღწეული. ამასვე მოწმობს საპარლამენტო ოპოზიციის მიერ პრეზიდენტის ბრძანების მხარდაჭერა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს იმ ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებიც გასული წლის ნოემბრის შემდეგ, ბოიკოტის რეჟიმში იმყოფებიან. იმავე დღეს, ბრძანებისგან დამოუკიდებლად, პარლამენტმა ცალკე უყარა კენჭი „საგანგებო მდგომარების დროს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ კანონპროექტს“, რომელსაც ასევე ჰქონდა ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერა და საბოლოოდ დამტკიცდა 115 მომხრით არცერთის წინააღმდეგ.

21 მარტს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დასაბუთებულობა

საქართველოში COVID19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა 26 თებერვალს დაფიქსირდა[1]. ინფექციის მქონე საქართველოს მოქალაქე ქვეყანაში აზერბაიჯანის გავლით ირანიდან შემოვიდა. ორ დღეში მას კიდევ ერთი შემთხვევა დაემატა[2], მესამე დღეს კი ინფიცირებულთა რაოდენობა სამამდე გაიზარდა[3]. ინფექციის დაფიქსირებისა და შემთხვევების ზრდასთან ერთად, ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან ბრძოლა და სხვადასხვა სპეციალური ღონისძიების გატარება საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ კიდევ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე დაიწყო. მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი მსოფლიო მასშტაბის პანდემიად განსაზღვრა[4], საქართველოს ხელისუფლებამ სწრაფად დაიწყო რეაგირება სხვადასხვა მიმართულებით. ამ პერიოდში, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დაიხურა ბაზრები, სავაჭრო და გასართობი ცენტრები; დაიხურა თეატრები, კინო და მუზეუმები; აიკრძალა მასობრივი ღონისძიებები; შეჩერდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი; სკოლებსა და საბავშვო ბაღებში გამოცხადდა კარანტინი; სამედიცინო დაწესებულებები მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ; აიკრძალა ქვეყანაში შესვლა იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ვირუსის გავრცელების კერას წარმოადგენდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებამ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშე, გაატარა თითქმის ყველა ის ზომა, რასაც მსგავსი მდგომარეობის გამოცხადების მეშვეობით ახორციელებდა სხვადასხვა ქვეყანა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა თავიდანვე დაუჭირა მხარი კრიზისთან ყველაზე ნაკლებად მტკივნეული მეთოდებით ბრძოლას - ისე, რომ ხელისუფლებას ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა ოფიციალურად მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში გამოეცხადებინა, ასეთი რეჟიმის დროს ადამიანის უფლებების შეზღუდვისა და არაპროპორციული ჩარევის გაზრდილი რისკების გამო[5].

საგანგებო მდგომარეობა წარმოადგენს განსაკუთრებულ კრიზისულ სიტუაციას სახელმწიფოში, სადაც არსებობს საფრთხე საზოგადოების ან მისი ნაწილისთვის[6]. საგანგებო მდგომარეობა უნდა იყოს რეალური და იმწუთიერი, მას უარყოფითი გავლენის მოხდენა უნდა შეეძლოს მოსახლეობის ფართო მასებზე, ხოლო კრიზისი ან საშიშროება, უნდა იყოს განსაკუთრებული ხასიათის, რაც გამორიცხავს ჩვეულებრივი შეზღუდვების დაწესების გზით საზოგადოების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესაძლებლობას[7].

---

[1] იხ. ვრცლად: https://civil.ge/ka/archives/340253
[2] იხ. ვრცლად: https://civil.ge/ka/archives/340378
[3] იხ. ვრცლად: https://civil.ge/ka/archives/340524
[4] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია 2020 წლის 11 მარტს გამოაცხადა. მანამდე კი, 30 იანვარს ჯანმომ კორონავირუსი გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა. ჩინეთში პნევმონიის აფეთქება 2019 წლის დეკემბერში დაიწყო. ის გამოწვეულია კორონავირუსის აქამდე უცნობი შტამით.
[5] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 20.03.20 წლის განცხადება „საგანგებო მდგომარეობის შესაძლო გამოცხადებასთან დაკავშირებით“.
[6] Guide on Article 15 of the European Convention on Human Rights, Derogation in time of emergency, 2019, გვ. 6;
[7] ბ. ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, გვ. 361

თავის მხრივ, უფლებების შეზღუდვა, a priori დარღვევას არ გულისხმობს. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში აღიარებულია, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, როცა არსებობს რეალური საფრთხე, შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული უფლებები. თუმცა, იმისათვის, რომ ეს შეზღუდვა სამართლებრივად გამართლებული იყოს, მას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი, უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, უნდა იყოს საჭირო და ვარგისი აღნიშნული მიზნის მისაღწევად, არ უნდა იყოს თვითნებური და დისკრიმინაციული. ამასთან უმნიშვნელოვანესია, რომ ამგვარი შეზღუდვა იყოს მკაცრად შეზღუდული დროში, არ ხელყოფდეს ადამიანის ღირსებას, ექვემდებარებოდეს სამართლებრივ კონტროლს და იყოს მიზნის მისაღწევად პროპორციული საშუალება[8].

აქედან გამომდინარე, მიუხედავად სახელმწიფოში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობისა და განსაზღვრული შეზღუდვებისა, სახელმწიფო არ არის აბსოლუტურად თავისუფალი ქმედებების განხორციელებისას და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, შეამოწმოს, თუ რამდენად მკაცრად მოითხოვდა მდგომარეობის სიმწვავე კონკრეტული ღონისძიების გატარებას. შეფასებისას სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა - საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე არსებული გარემოებები და საგანგებო მდგომარეობის ხანგრძლივობა, შეზღუდული უფლებების სამართლებრივი ბუნება.

საგანგებო მდგომარეობის გამოსაცხადებლად საჭირო ფორმალურ საფუძველს საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლი ზუსტად განსაზღვრავს, რომლის მიხედვითაც, ასეთი მდგომარეობა ცხადდება „მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას“[9].

კორონავირუსით გამოწვეული პანდემია ასეთ საფუძველს ნამდვილად წარმოადგენს, რაც ამ მუხლით გათვალისწინებულ საგანგებო მდგომარეობის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ნაწილზე გამოცხადების ფორმალურ საფუძვლებს იძლევა. მიუხედავად ამისა, სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მსგავსად, საქართველოს კონსტიტუციაც, მხოლოდ ფორმალურ საფუძველს საკმარისად არ თვლის და დამატებით მიიჩნევს, რომ აუცილებელია მისი გამოცხადების დასაბუთებულობა, რასაც უკავშირებს იმ უკიდურეს შემთხვევას, როცა ხელისუფლება მოკლებულია „უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას“. ეს კი რამდენიმე ფაქტორის კუმულატიურად თანაარსებობას გულისხმობს, კერძოდ: საფრთხე რეალური და აშკარა უნდა იყოს, მისი შედეგები მოსახლეობის დიდ ნაწილზე უნდა ახდენდეს ზეგავლენას, საფრთხე უნდა ექმნებოდეს საზოგადოების ნორმალური ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობას და მას უნდა

[8] Human Rights Watch, “Human Rights Dimensions of COVID-19 Response”, March 19, 2020, https://www.hrw.org/news/2020/03/19/human-rights-dimensions-covid-19-response.

[9] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71 (2)

ჰქონდეს საგამონაკლისო ხასიათი. საგანგებო მდგომარეობის მაღალი სტანდარტით დასაბუთების ვალდებულებიდან გამომდინარე, სპეციალური რეჟიმის განსაზღვრისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის ის ჩანაწერი, რომლის თანახმად, „საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზანია ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაცია, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა“[10]. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუცია მოითხოვს, რომ დაცული იყოს ყველა ფორმალური და შინაარსობრივი წინაპირობა, რომელიც საგანგებო მდგომარეობას უნდა დაედოს საფუძვლად. ამდენად, აღნიშნული მოთხოვნები დასაბუთებული უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტისა და მთავრობის მიერ დადგენილებების გამოცემის დროს, რაც ავალდებულებთ მათ, დაასაბუთონ საფუძვლები, რითაც გამართლებულია მთელი რიგი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა.

2020 წლის 21 მარტს საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა ზოგადად მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პროცესებისა და ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსით იქნა მიღებული, რასაც ადასტურებს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერაც. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საჭიროებისა და მის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით, პრობლემას არ ვაწყდებით.

საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვები

საგანგებო მდგომარეობა არის განსაკუთრებული სიტუაცია, როდესაც ქვეყნის მთავრობებს ენიჭებათ განსაკუთრებული ღონისძიებების გატარების უფლებამოსილება, რისი განხორციელების შესაძლებლობაც ჩვეულებრივ პირობებში არ აქვთ. მსგავსი მდგომარეობის გამოცხადების ფორმალური საფუძვლები და წესი ზუსტად არის მოცემული საქართველოს კონსტიტუციაში[11]. მსგავსი მდგომარეობა ადამიანებს ავალდებულებს, შეიცვალონ ქცევისა და ცხოვრების ნორმალური წესი და დაემორჩილონ განსაკუთრებული რეჟიმის მოთხოვნებს, რომლებიც შეიძლება, ზღუდავდეს მათთვის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ამის მიუხედავად, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება არ გულისხმობს მთავრობის მიერ ხელისუფლების უზურპაციას, რაც დაბალანსებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებით. მართალია, საგანგებო მდგომარეობის დროს კონსტიტუციური ინსტიტუტების მუშაობა ექსტრაორდინარულ რეჟიმში გადადის (ამის ერთ-ერთი მახასიათებელია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კანონის ძალის მქონე დეკრეტის გამოცემა), მაგრამ აუცილებელია სამივე შტოს თანამშრომლობა და

[10] იხ. საქართველოს კანონი ,,საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ", მუხლი 1 (2).
[11] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71

საპარლამენტო და სასამართლო კონტროლის განხორციელებით, ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

საქართველოს კონსტიტუცია, სხვა საერთაშორისო აქტების[12] მსგავსად, ექსპლიციტურად ჩამოთვლის იმ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც შეიძლება, შეიზღუდოს საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე. ასეთი უფლებების ჩამონათვალში ვერ ხვდება რელიგიის თავისუფლება. ამის მიუხედავად, საქართველოს კონსიტუცია, ადამიანის უფლების შესახებ საერთაშორისო აქტების მსგავსად, რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას იძლევა, რისი ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება იყოს მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა. ამავე დროს, არც კონსტიტუციური და არც საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტი მსგავსი შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობას საგანგებო მდგომარეობას საერთოდ არ უკავშირებს, მეტიც - საგანგებო მდგომარეობის მიზეზით, რწმენის თავისუფლების შეზღუდვას დაუშვებლად მიიჩნევს. შესაბამისად, ცხადია, საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით შეზღუდულ უფლებებში ვერ მოხვდა კონსტიტუციის მე-18 მუხლი, რომელიც ეპიდემიის გავრცელებისას, ეკლესიებსა თუ სხვა საკულტო ნაგებობებში მოსახლეობის შეკრებისა თუ სხვა წესებზე რაიმე გავლენას მოახდენდა. იმ ფონზე, როცა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების ძირითადი მიზანი, მოსახლეობაში ფიზიკური დისტანცის დაცვით, პანდემიის გავრცელების თავიდან აცილება იყო, ხელისუფლების მიერ რწმენის თავისუფლების პროპორციული შეზღუდვის გარეშე, ამ მიზნის მიღწევა ფაქტობრივად შეუძლებელი ხდებოდა.

კომენდანტის საათის დაწესების საჭიროება

მიღებული ზომების ეტაპობრივად გამკაცრების საჭიროებას განსაკუთრებით ზრდიდა ქრისტიანული დღესასწაულების დადგომამდე მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ ზიარების წესის შეცვლაზე უარის თქმა, რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობა და პასუხისმგებლობის მრევლზე გადატანა[13], რასაც ხელისუფლების მხრიდან, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისადმი განსაკუთრებული ლოიალურობა სდევდა თან. ხელისუფლებამ, ეკლესიასთან კონფრონტაციის თავის ასარიდებლად, რელიგიის თავისუფლებაში ლეგიტიმური ჩარევისა და კონსტიტუციის მე-18 მუხლიდან გამომდინარე, პროპორციული აკრძალვების დაწესების ნაცვლად, ამჯობინა, მთელ ქვეყანაში გაემკაცრებინა ზომები მორწმუნეთათვის, რაც ძირითადად, ორ ეტაპად განახორციელა. მოახლოებული ქრისტიანული დღესასწაულების - ხარების, ბზობისა და აღდგომის კვალდაკვალ, რა დროსაც ადამიანთა თავშეყრისას განსაკუთრებით იზრდებოდა ფიზიკური დისტანციის

[12]გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, 1966 წლის საერთაშორისო პაქტის - „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ მე-4 მუხლი

[13] იხ. მიტროპოლიტ იაკობის განცხადება: „მრევლი, რომელიც ტაძარში მოვა, თვითონ აიღებს პასუხისმგებლობას - მე შემიძლია ჩემს თავზე ვიყო პასუხისმგებელი“ - https://www.interpressnews.ge/ka/article/595428-meupe-iakobi-mrevli-romelic-tazarshi-mova-tviton-aigebs-pasuxismgeblobas-me-shemizlia-chems-tavze-viqo-pasuxismgebeli/

დაუცველობის რისკები, ხელისუფლებამ ვერ გაბედა რწმენის თავისუფლების *(გარეგანი თავისუფლების ნაწილი)* დროებით შეზღუდვა პანდემიის თავიდან ასაცილებლად. ამის ნაცვლად აუცილებელი გახდა კომენდანტის საათის რეჟიმისა და სატრანსპორტო გადაადგილების დაწესება, რათა ტაძარში შეკრების მსურველ მორწმუნეებზე გავლენა არა რელიგიის თავისუფლებაში ჩარევით, არამედ გადაადგილებისა და შეკრების თავისუფლებების შეზღუდვით მომხდარიყო, რაზეც, თავის მხრივ, არც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს გაუწევია წინააღმდეგობა.

მთავრობის გადაწყვეტილებით, შესაბამისი შეზღუდვები, ძირითადად, ორ ეტაპად დაწესდა. 30 მარტს, პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ ილაპარაკა ეკლესიაზე და თქვა, რომ კომუნიკაცია გრძელდებოდა და კომპრომისს ეძებდნენ, რასაც 31 მარტს, საქართველოს მთავრობის გდაწყვეტილებით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ე.წ. კომენდანტის საათის გამოცხადება მოჰყვა - 21:00 საათიდან დილის 06:00 საათამდე აიკრძალა ტრანსპორტის და ქვეითად მოსიარულეთა გადაადგილება, გამონაკლისების გარდა. ახალი რეჟიმის თანახმად, დაიშვა მხოლოდ მსუბუქი ავტომობილებით, მათ შორის - ტაქსით მგზავრობა, მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით. ასევე, მგზავრთა გადაყვანა დაიშვა მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების თანამშრომელთა ორგანიზებული და უსაფრთხო გადაყვანის მიზნით. აიკრძალა 3-ზე მეტი პირის თავშეყრა, გარდა სასურსათო მაღაზიებისა და აფთიაქებისა, სადაც სავალდებულოდ დაცული უნდა იყოს 2 მეტრის ე. წ. სოციალური დისტანცია.

ამას მოჰყვა 1 აპრილს, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის წერილის[14] გამოქვეყნება, რითაც მან განაცხადა, რომ ეკლესიები არ დაიკეტებოდა. სარეკომენდაციო ხასიათის წერილში, პატრიარქმა ტაძრის წინამძღვრებს მოუწოდა ფიზიკური დისტანციის დაცვა, შესაბამისად - დიდ და პატარა ტაძრებში წირვის ახლებურად ჩატარება. მიუხედავად ამისა, 7 აპრილს ბზობის დღესასწაულის თავყრილობამ და ამავე დღეს ერთ-ერთი ტაძრის სტიქაროსანზე ახალი კორონავირუსის დადასტურებამ[15] საფრთხის რეალურობა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა. ამასთან, მედიის საშუალებით, მუდმივად ვრცელდებოდა ინფორმაცია სხვადასხვა სასულიერო პირებისა და მრევლის მიერ რეკომენდაციების შეუსრულებლობასა და სოციალური დისტანციის დარღვევებზე. ამას მოჰყვა 12 აპრილს, ბზობის დღესასწაულზე, ეკლესიებში მორწმუნეთა სიმრავლე და კვლავ ფიზიკური დისტანციის დარღვევის არაერთი ფაქტი, რასაც საპატრიარქოს კრიტიკა სდევდა თან[16]. 12 აპრილს კორონავირუსი საპატრიარქოს დაცვის თანამშრომელს დაუდასტურდა[17], ხოლო 14 აპრილს სასულიერო პირისა და მისი ოჯახის წევრების დაინფიცირების შესახებ გახდა ცნობილი[18].

[14] იხ.სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა სამწყსოსადმი (01.04.2020) https://patriarchate.ge/news/2595

[15] იხ. ვრცლად: https://www.radiotavisupleba.ge/a/30538151.html

[16] იხ. ვრცლად: https://www.radiotavisupleba.ge/a/30551255.html

[17] https://www.radiotavisupleba.ge/a/30552550.html

[18] https://www.radiotavisupleba.ge/a/30552203.html

ამ ეტაპზე უკვე ნათელი გახდა, რომ არსებული რეგულაციის პირობები, რომლებიც ეკლესიაში შეკრებასა და სარიტუალო წესებზე გავლენას ვერ ახდენდა, ვერ უზრუნველყოფდა აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებული მასობრივი შეკრების თავიდან აცილებას და ინფექციის გავრცელების რისკს.

შესაბამისად, მეორე ეტაპზე, მთავრობას კომენდანტის საათის რეჟიმის კიდევ უფრო გამკაცრება მოუწია. 15 აპრილს, მთავრობის გადაწყვეტილებით, ოთხ დიდ ქალაქში - თბილისში, რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში შესვლა და გასვლა ათი დღით აიკრძალა[19]. ხოლო, 16 აპრილის საღამოს მთავრობამ, ერთ კვირაში ინფიცირებულთა 140-ით გაზრდის მიზეზით, მიიღო გადაწყვეტილება 17 აპრილის დღის 12 საათიდან მსუბუქი ავტომობილებით გადაადგილების სრულად აკრძალვის შესახებ - 21 აპრილის ჩათვლით. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ წელს აღდგომის დღესასწაული 19 აპრილს იყო, რომელსაც წინ „ვნების კვირა“, ხოლო შემდგომ „ბრწყინვალე შვიდეული კვირა“ მოსდევს. 20 აპრილი კი მიცვალებულთა დღედ არის მიჩნეული და ტრადიციის თანახმად, ამ დღეს მორწმუნეები (და არა მხოლოდ ისინი) სასაფლაოებზე იკრიბებიან. შესაბამისად, მთავრობის მიერ განსაკუთრებულად მკაცრი რეგულაციების ამ პერიოდში დაწესება პირდაპირ უკავშირდება ქრისტიანულ დღესასწაულებს და საპატრიარქოს პოზიციას.

რწმენის თავისუფლების განსაკუთრებული როლის მიუხედავად, მისი გარეგანი ნაწილი (forum externum) არ არის შეუზღუდავი და საქართველოს კონსტიტუცია და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი მის შეზღუდვას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დასაცავად, დასაშვებად მიიჩნევს. საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის პოპულარობა და მისი გავლენა ამომრჩეველზე მუდმივად აიძულებდა ყველა დროის ხელისუფლებას გარკვეულ დათმობებზე წასვლას. თუმცა, ამ შემთვევაში, როცა რისკზე მთელი საზოგადოების ჯანმრთელობა იყო, ხელისუფლებას მართებდა განსაკუთრებული გამბედაობა და თუნდაც არაპოპულარული გადაწყვეტილებით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის წინააღმდეგ არსებული ხილული რისკების მაქსიმალურად შემცირება.

შესაბამისად, კრიტიკულად შეიძლება შეფასდეს მოქმედი ხელისუფლების ტაქტიკა, რომელმაც საგანგებო მდგომარეობის გაუმართლებლად გართულება გამოიწვია მაშინ, როცა იგივე შედეგის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილით დასაშვები ღონისძიებების გამოყენებით.

[19] https://imedinews.ge/ge/covid19/136915/dges-2100-saatidan-tbilisi-rustavi-batumi-da-qutaisi-chaiketa

პარლამენტის მუშაობა კორონავირუსის პირობებში

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საგანგებო მდგომარეობას საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით აცხადებს და იგი მისი გამოცხადებისთანავე შედის ძალაში, მაგრამ იმ დათქმით, რომ ეს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს საქართველოს პარლამენტს[20]. თავის მხრივ, პარლამენტი აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით[21]. იმ შემთხვევაში თუ პარლამენტი არ დაამტკიცებს დეკრეტს, ის კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას[22]. შესაბამისად, პარლამენტი ფორმალურად საკუთარი უფლებამოსილების შეზღუდვას თავადვე ახდენს.

ასეთ მდგომარეობაში საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებები მნიშვნელოვნად იზღუდება. კერძოდ, მდგომარეობის გამოცხადების დროს, პარლამენტი მუშაობას აგრძელებს საგანგებო სესიის რეჟიმში, რომელიც გრძელდება საგანგებო მდგომარეობის ვადით. ასეთ დროს, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების, ზავის დადების, პრეზიდენტის დეკრეტის დამტკიცების, თავდაცვის ძალების გამოყენების, ან სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანის საკითხებს პარლამენტი განიხილავს დაუყოვნებლივ და მათ კენჭი ეყრება წინასწარი საკომიტეტო მოსმენებისა და სხვა შესაბამისი პროცედურების გავლის გარეშე[23].

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებულია საკითხები, რომლებზეც პარლამენტს შეუძლია, ორდინალური წესით, დაჩქარებულად მიიღოს გადაწყვეტილებები. თუმცა, აღნიშნულ ჩამონათვალში არ არის მოხსენიებული, აქვს თუ არა შესაძლებლობა პარლამენტს, ჩვეულებრივ გააგრძელოს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ჩვეულებრივი კანონშემოქმედებითი თუ საზედამხედველო საქმიანობა ისეთ საკითხებზე, რომლებიც საგანგებო მდგომარეობას უკავშირდება. ასევე, საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, პარლამენტის მიერ ამ საქმიანობის განხორციელების ფორმა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ არის განსაზღვრული, საკანონმდებლო და საზედამხედველო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ საქმიანობაში როგორ უნდა იყოს უზრუნველყოფილი პარლამენტის საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის ფუნქცია და მოქალაქეთა ჩართულობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს მხოლოდ შიდამარეგულირებელი გადაწყვეტილება[24], რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას ორგანოს საქმიანობის წესებთან მიმართებით, მაგრამ არც ეს დოკუმენტი განსაზღვრავს კანონშემოქმედებითი და საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების ფორმასა და წესებს. იგი მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის

[20] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71 (2).
[21] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71(7)
[22] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71(3)
[23] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 262-ე მუხლი.
[24] იხ. საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2020 წლის 21 მარტის N341/1 გადაწყვეტილება: http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/135880/341-1

გადაწყვეტილებით, პარლამენტის საგანგებო სესიის საჭიროებისამებრ გამართვის უფლებამოსილებაზე მიუთითებს.

კანონშემოქმედებით და საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისას უმნიშვნელოვანესია მოქალაქეთა ჩართულობისა და თანამონაწილეობის საკითხები. ამიტომ აუცილებელია, უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეთა გარკვეული ფორმით ჩართულობა, მაგალითად - დისტანციური ფორმით.

საქართველოს პარლმენტმა მეტი ინსტიტუციური და საზოგადობრივი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინოს და გაწეროს წესები და ფორმა, რითაც დარეგულირდება ზემოაღნიშნული პრობლემა. ეს ვალდებულება მას აღებული აქვს საქართველოს პარლამენტის ბიუროს რეგლამენტითაც.

გარდა ზემოაღნიშნული პრობლემური საკითხისა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური სტაბილურობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ხასიათს იძენს კონსტიტუციის დებულება, რომელიც ქვეყანაში საგანგებო მდგომარების გამოცხადების დროს, მის დასრულებამდე, კონსტიტუციური კანონის განხილვის შეჩერების ვალდებულებას ითვალისწინებს. მრავალთვიანი საზოგადოებრივი პროტესტის, ოპოზიციური პარტიებისა და ხელისუფლების მოლაპარაკებების შედეგად, საერთაშორისო პარტნიორების ძალისხმევით მიღწეული შეთანხმება საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას საჭიროებს. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს პარლამენტში საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ პაკეტი დარეგისტრირდა[25]. ცვლილებების პაკეტის მიხედვით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული წესით უნდა ჩატარდეს, რაც, თავისთავად, პოლიტიკური სპექტრის კონსენსუალური გადაწყვეტილების შედეგია[26].

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი აღნიშნული ცვლილებების განხილვის შესაძლებლობას არ იძლევა, მისი გახანგრძლივება კი, საარჩევნო სისტემის არჩევნებამდე შეცვლას ეჭვქვეშ აყენებს. **შესაბამისად, აუცილებელია, საგანგებო მდგომარეობა, მხოლოდ იმ დროითა და მიზნით იყოს გამოყენებული, რასაც იგი ემსახურება და ხელისუფლებამ, მმართველმა პარტიამ ხელოვნურად არ დააბრკოლოს ეს პროცესი.**

[25] იხ. კანონპროექტი: https://bit.ly/2y7UruH
[26] https://civil.ge/ka/archives/341390

ადამიანის უფლებები კორონავირუსით შექმნილი ეკონომიკური კრიზისის პირობებში

ახალი კორონავირუსის გავრცელების მასშტაბებიდან გამომდინარე, იმთავითვე ნათელი გახდა, რომ პანდემია არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობას უქადდა გლობალურ საფრთხეს, არამედ მის წინააღმდეგ ბრძოლა მსოფლიო ეკონომიკასაც ურთულესი გამოწვევის წინაშე დააყენებდა. მსოფლიო ლიდერები, საერთაშორისო პრესა და ექსპერტები უკვე საუბრობენ[27] ფართომასშტაბიან ეკონომიკურ კრიზისზე - კორონავირუსით გამოწვეულ „ეკონომიკურ პანდემიაზე", რომელიც შეიძლება ისტორიაში უპრეცენდენტოდ დიდი აღმოჩდეს. ეს არის თვისობრივად ახალი სახის კრიზისი, რომლის მსგავსიც დედამიწას ჯერ არ გამოუცდია. სამეცნიერო საზოგადოებაში უკვე მკვიდრდება ამ მოვლენის აღმნიშვნელი ახალი ტერმინები[28]: „კორონომიკა" (Coronomics), „კორონანომიკა" (Coronanomics).

ზოგადად, ეკონომიკური კრიზისი ადამიანის უფლებებზე რომ ნეგატიურად ზემოქმედებს, ამის დამადასტურებლად 1930-იანი და 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისების შემდგომ განვითარებული მოვლენებიც გამოდგება. ასეთ კრიზისებთან დაკავშირებული უმუშევრობის მასობრივი ზრდა, სახელმწიფო და საერთაშორისო დაფინანსებების შემცირება, მოსახლეობის გაღარიბება, შედეგად - ნაციონალიზმის, რასიზმისა და ქსენოფობიის ზრდა[29] განსაკუთრებულად მოწყვლადს ხდის საზოგადოების ისეთ ჯგუფებს, როგორიცაა: ბავშვები, მოხუცები, მიგრანტები, ეთნიკური და სხვა უმცირესობები. საზოგადოების ასეთი ჯგუფები საქართველოში, კრიზისისგან დამოუკიდებლად, ისედაც ყველაზე მოწყვლადები არიან.

მიმდინარე კრიზისმა უკვე გამოკვეთა ეკონომიკის განსაკუთრებულად დაზარალებული სექტორები. მათ ჩამონათვალში მოხვდა ტურისტული და სატრანსპორტო სექტორი (გასნაკუთრებით - სამგზავრო ავიაგადაზიდვები). კრიზისის პირობებში, მნიშვნელოვნად შემცირდა უცხოეთიდან შემომავალი ფულის მასაც. საფონდო ბაზრებზე დაფიქსირებული ვარდნა კი ეკონომიკის რეალურ სექტორზე უკვე უშუალოდ აისახა.

ცხადია, მსგავს პირობებში, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს როგორც ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარებით, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაზე, ასევე ახალი რეალობის გათვალისწინებით, პოსტკრიზისული მოქმედებებისთვისაც უნდა იყოს მზად.

2008-2009 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისის დასამარცხებლად მსოფლიოს გამოცდილებამ აჩვენა, რომ ასეთ დროს აუცილებელი იქნება სახელმწიფოს მიერ საგადასახადო შეღავათების დაწესება, ცენტრალური ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების შემცირება და ლიკვიდურობის უზრუნველყოფით ღონისძიებების გატარება, მთავრობის მხრიდან მოსახლეობის ყველაზე შეჭირვებული

[27] იხ. ვრცლად: https://cnn.it/2YzQDx9

[28] ინფორმაცია ვრცლად: https://bit.ly/3f8VkDE

[29] 2009 წლის თებერვალში გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა ანტონიო გუთერესმა განაცხადა, რომ „ქსენოფობია განსაკუთრებით მაშინ არის განუყოფელი ტრენდი მსოფლიოს მასშტაბით, როდესაც ეკონომიკური მდგომარეობა იწყებს გაუარესებას".

ნაწილის სოციალური დაცვის გაძლიერება და სხვა მსგავსი ღონისძიებების გატარება. არსებული კრიზისის სპეციფიურობიდან გამომდინარე, აუცილებელია, სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება მიმართოს ჯანდაცვის სექტორისკენ და სოციალური პროგრამების განხორციელებით დაიცვას საკუთარი მოქალაქეები შიმშილისაგან.

ეკონომიკურ კრიზისებთან ბრძოლის მსოფლიო გამოცდილებამ უკვე აჩვენა, რომ სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია ადამიანის უფლებათა განუხრელ დაცვასთან. პოსტკრიზისულ პერიოდში „ეკონომიკის გადასარჩენად“ დახმარების საფინანსო ინსტიტუტებისკენ მიმართვამ, ინდივიდებისათვის დახმარების ნაცვლად, შედეგად გაზრდილი უთანასწორობა, მდიდრების გამდიდრება, ხოლო ღარიბების კიდევ უფრო გაღარიბება გამოიწვია, ღარიბი ქვეყნები კი კიდევ უფრო გააღატაკა[30]. შესაბამისად, ეკონომიკის სტიმულირება მნიშვნელოვნად უკავშირდება სახელმწიფოს მხრიდან თითოეული ინდივიდის ადამიანის უფლებათა დაცვას. ამის მაგალითად, რუზველტის მიერ ე.წ. ჩაურევლობის პოლიტიკის (laissez faire) - ე.წ. „ახალი გარიგებით“ (NEW DEAL) ჩანაცვლებაც გამოდგება, რომელმაც უმცირესობათა ეკონომიკური აქტივობების გაზრდით, სოციალური პოლიტიკის გაძლიერებითა და სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში კონსტრუქციული ჩარევით, ქვეყნის დიდი დეპრესიიდან გამოყვანა შეძლო.

მნიშვნელოვანი იქნება პოსტკრიზისული ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ინკლუზიურობა, მსგავსი სახის მზარდ კრიზისებთან გასამკლავებლად. სოციალური დახმარებების მიზნობრივი და ადეკვატური გამოყენება. სახელმწიფომ, ასევე, უნდა იკისროს შუამავლის როლი ბიზნესსა და ინდივიდებს შორის. შესაბამისი რეგულაციებით, დაუყოვნებლივ შეაჩეროს ადამიანების გამოსახლება საკუთარი სახლებიდან და მათი ღია ცის ქვეშ დატოვება, შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებების გამო.

დასაქმებულთა უფლებების გაუმართლებელი სისუსტე საქართველოში არაკრიზისულ პერიოდშიც კრიტიკულად მწვავეა, რაც კრიზისის ფონზე განსაკუთრებულად მოწყვლადს ხდის უამრავ დასაქმებულს. აუცილებელია შრომის კანონმდებლობის დახვეწისთვის უკვე დაწყებული რეფორმის ბოლომდე მიყვანა და პოსტკრიზისული ეკონომიკის ადამიანის უფლებებზე დაფუძნება.

[30] ინფორმაცია, იხ.: https://www.ohchr.org/Documents/Issues/Development/IEDebt/20200414_IEDebt_urgent_appeal_COVID19_EN.pdf

კორუფცია და კორონავირუსი

მასშტაბური კრიზისების დროს, სამწუხაროდ, კორუფცია განსაკუთრებით ადვილად ვითარდება. პრაქტიკა[31] ცხადყოფს, რომ მსგავსი საფრთხისგან არც განვითარებული ქვეყნები არიან დაცულნი, სადაც სისტემა მეტ-ნაკლებად გამართულად ფუნქციონირებს და ძლიერი ანტიკორუფციული პოლიტიკა არსებობს. თუმცაღა, მოწყვლადობის თვალსაზრისით, განსაკუთრებულად მაღალია რისკი ისეთ ქვეყნებში, სადაც ინსტიტუციები და საზედამხედველო კონტროლი სუსტი, ხოლო საზოგადოების ნდობა დაბალია.

მართალია, კრიზისი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ეკონომიკური წნეხის საბაბია, მაგრამ მსოფლიო პრაქტიკამ არაერთხელ აჩვენა, რომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისთვის სწორედ მსგავსი პერიოდი ხდება დიდი ფულის უკანონოდ დაუფლების მარტივი საშუალება. კორონავირუსით შექმნილი ვითარება არაერთ ქვეყნაში უკვე გახდა მსგავსი მანიპულაციების გამოყენების საშუალება[32].

მთავრობის 2020 წლის 23 მარტის დადგენილებამ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შეჩერება გამოიწვია. არსებული მდგომარეობა კი უპირობოდ ზრდის ტენდერების გვერდის ავლით სახელმწიფო შესყიდვების რაოდენობას, რაც საზოგადოებრივი კონტროლის შეუძლებლობის პირობებში, მნიშვნელოვნად იწვევს კორუფციული გარიგებებისა და არარაციონალური საბიუჯეტო ხარჯვის რისკებს.

ამასთან, საქართველოს მთავრობამ, ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიით შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტში 2 მილიარდი ლარის მობილიზება დააანონსა, ხოლო ჯანდაცვის სექტორს ბიუჯეტში დამატებით 351 მილიონი ლარი გამოუყო, COVID-19 პანდემიასთან საბრძოლველად.

მთავრობის დადგენილების თანახმად, 2020 წლის 7 აპრილს კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, დროებით დაიკეტა აგრარული ბაზრები, რაც განსაკუთრებით მძიმე ტვირთად დააწვა სოფლად მცხოვრებლებს. მათ ძირითად შემოსავლის წყაროს სწორედ აგროპროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენდა. 22 აპრილს მარნეულში, სოფელ იმირის, კასუმლოს და აღმამედლოს მოსახლეობამ გამართა საპროტესტო აქცია, რომლის პარალელურად ხელისუფლების მიმართ კითხვები კიდევ უფრო გაიზარდა. ინტერნეტგამოცემა presa.ge-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში[33] საუბარია ხელისუფლების მიერ აგრარული ვაჭრობისთვის, საბითუმო-სავაჭრო ცენტრ შპს „ჯიბეს“ ბაზაზე, სპეციალური პლატფორმის შემუშავებაზე. მონოპოლისტის შექმნის მიზეზად სტატიის ავტორი სავარაუდო კორუფციის სქემას ასახელებს, რომელსაც მისი მტკიცებით, ბიძინა ივანიშვილის გარემოცვამდე მივყავართ.

[31] S. Steingrüber, M. Kirya, D. Jackson and S. Mullard, U4 Guide - Corruption in the time of COVID-19: A double threat for low-income countries https://www.u4.no/publications/corruption-in-the-time-of-covid-19-a-double-threat-for-low-income-countries.pdf

[32] იქვე.

[33] იხ. ინტერნეტ-გამოცემა Presa.ge-ს სტატია: https://presa.ge/?m=politics&AID=81787

საგანგებო სიტუაციებში არსებული ანტიკორუფციული მექანიზმების არასაკმარისობა ებოლას კრიზისმაც ნათლად აჩვენა. შესაბამისად, აუცილებელია, ხელისუფლებამ კრიზისის დროს ანტიკორუფციული მიმართულებით ყურადღება განსაკუთრებით გაზარდოს და ამისათვის დამატებითი მექანიზმების გამოყენებაზეც არ თქვას უარი. ასევე, აუცილებელია, საჯარო დაწესებულებებმა უზრუნველყონ მათთვის საგანგებო ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების განსაკუთრებულად რაციონალური და გამჭვირვალე გამოყენება.

კორონავირუსის გავლენა განათლების უფლებაზე

მსოფლიოს მასშტაბით, კორონავირუსის გამო სკოლების დახურვის შედეგად, მოსწავლეთა 87% ანუ დაახლოებით 1.5 მილიარდზე მეტი ახალგაზრდა ვერ ესწრება სასწავლო პროცესს, რადგან მსოფლიოს 165 ქვეყანაში სრულად დაიკეტა სკოლები[34].

ამ მხრივ, საქართველოც არ წარმოადგენს გამონაკლისს. კორონავირუსის პრევენციის მიზნით, ქვეყანაში გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის თანახმად, სწავლა-სწავლების პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისთვის მთავრობას მიეცა უფლება, განესაზღვრა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი წესისაგან განსხვავებული წესები და პირობები.

„საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ მთავრობის დადგენილებაში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით რამდენიმე პუნქტია გათვალისწინებული, რომლის მიხედვითაც, სასწავლო პროცესი დისტანციური გახდა და ასევე მთელი რიგი აკრძალვები დაწესდა სოციალურ დისტანციასთან მიმართებით.

17 მარტს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, სატელევიზიო გამოსვლისას[35] აცხადებდა, რომ სისტემა არ იყო მზად, სრულყოფილად უზრუნველეყო დისტანციური სწავლება. განათლების სამინისტროს პოზიციით კი, იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო პროცესი 26 აპრილამდე არ აღდგებოდა, მთელი წლის სასწავლო პროცესი დადგებოდა კითხვის ქვეშ.

24 აპრილის მდგომარეობით, ანტიკრიზისული გეგმის პრეზენტაციის შემდეგ, პრემიერის განცხადებით[36], სკოლებში სწავლა 1 სექტემბრამდე არ განახლდება, მაგრამ არც აკადემიური წელი გამოცხადდება. ამის საფუძვლად მან განათლების სამინისტროს მიერ შეზღუდვებზე ეფექტიანად რეაგირება და დისტანციური სწავლების დანერგვა დაასახელა.

[34] https://time.com/5810017/coronavirus-school-closings-education-unesco/
[35] იხ. დეტალურად https://netgazeti.ge/news/434874/
[36] იხ. დეტალური ინფორმაცია https://droa.ge/?p=71378

6 აპრილს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციამ (The Organisation for Economic Co-operation and Development – OECD) COVID-19-ის 2020 წლის პანდემიით განათლების სფეროში შექმნილი გამოწვევების დასაძლევად ანგარიში[37] გამოაქვეყნა. კვლევაში 98 ქვეყნის მაგალითია განხილული. ანგარიშში საქართველოს მთავრობის მიერ განათლების მიღების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად გადადგმული ნაბიჯები დადებითად არის შეფასებული.

ამის მიუხედავად, მრავალი მოსწავლისა თუ სტუდენტისთვის გამოწვევად რჩება ინტერნეტზე წვდომა. ეს სირთულე განსაკუთრებით ეხება სოფლად და მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ და დაბალი ეკონომიკური შემოსავლის მქონე ოჯახების ახალგაზრდებს. შესაბამისად, ეს მდგომარეობა ისედაც არსებული უთანასწორობის კიდევ უფრო გაზრდას უწყობს ხელს. მართალია, საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხზე გასული საგანმანათლებლო პროგრამა მოსწავლეთათვის ტელეტრანსლაციით ცდილობს, ყველასათვის გახადოს დისტანციური განათლება შესაძლებელი, მაგრამ ეს ზომები საკმარისად ვერ ჩაითვლება არსებული პრობლემის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასება წლის ბოლოს უფრო გახდება შესაძლებელი, მაგრამ უკვე ცხადია, რომ ამ მხრივ ხარისხი, ჩვეულებრივ მდგომარეობასთან შედარებით, გაცილებით დაბალი იქნება.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოსთან კოორდინაციით, უნივერსიტეტებმა გაითვალისწინონ, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში არსებული ხარვეზები და მაქსიმალურად შეუწყონ ხელი სტუდენტებს, რომელთაც ინტერნეტის არქონის ან სხვა ტექნიკური პრობლემის გამო, არ აქვთ შესაძლებლობა, სრულყოფილად ჩაერთონ სწავლის პროცესში.

აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სტუდენტების მიერ გადახდილი თანხის გარკვეული ნაწილი ხმარდება საუნივერსიტეტო სწავლებისთვის საჭირო ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა, მაგალითად - აუდიტორიები, ლოჯისტიკა, კონფერენციები თუ ტრენინგები, რაც სასწავლო პროცესის წარმართვას პირდაპირ უკავშირდება და დისტანციური სწავლებისას, ჯერჯერობით მაინც, არ გამოიყენება. შესაბამისად, სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასურიდან მათზე თანხები არ იხარჯება. ამიტომ, უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ თანხის ამ ნაწილის დაბრუნება ან მიმართონ მსგავსი საჭიროების მქონე სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების სწავლის საფასურის სუბსიდირებაში, გამჭვირვალე და სამართლიანი მექანიზმებით.

კორონავირუსმა, შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინოს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებაზეც. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის განცხადებით, გამოცდების გადადებაზე ან რაიმე სახის ცვლილებაზე საუბარი ნაადრევია[38]. იგივე შინაარსის განაცხადება გაავრცელა საქართველოს პრემიერ-მინისტრმაც[39]. სახელმწიფოს ჯერჯერობით ამ საკითხის მიმართ რაიმე კონკრეტული გეგმა არ წარმოუდგენია. თუმცა, ვინაიდან, კორონავირუსის გაგრძელების ვადის

[37] იხ. სრულად https://globaled.gse.harvard.edu/files/geii/files/framework_guide_v2.pdf
[38] იხ. ვრცლად: https://bit.ly/2YnwWZ9
[39] იხ. ვრცლად: https://droa.ge/?p=71385

პროგნოზირება შეუძლებელია, აუცილებელია, სახელმწიფომ წინასწარ შეიმუშაოს აღნიშნული საკითხის კოორდინაციის სავარაუდო გეგმა.

პენიტენციური დაწესებულებები

კორონავირუსის კრიზისების დროს არსებული სიტუაციის სპეციფიურობა განსაკუთრებულად მოწყვლადს ხდის პატიმრებს. ვირუსის გავრცელების საფრთხე საშიშია იზოლირებულ დაწესებულებებში, სადაც პატიმართა შორის ფიზიკური დისტანციის დაცვა ფაქტობრივად შეუძლებელია (საზიარო საკნების, საერთო საშხაპეების, საპირფარეშოების, სამზარეულოსა და სხვა ნივთების გათვალისწინებით). შესაბამისად, ვირუსის ასეთ დაწესებულებაში მოხვედრა, ფაქტობრივად, გარდაუვლად მოასწავებს დაავადების გადადებასა და სხვა პატიმრების ინფიცირებას. ამ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს საქართველოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმართა განსაკუთრებით დიდი რიცხვი. ევროსაბჭოს ანგარიშის[40] თანახმად, საქართველო მესამე ადგილზეა პატიმართა რაოდენობის მიხედვით (100 ათას მოსახლეზე გათვლით).

ვირუსის განსაკუთრებული საფრთხიდან გამომდინარე, გაერომ სახელმწიფოებს მოუწოდა, ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო, მოწყვლად ჯგუფში შემავალი პატიმრები გაათავისუფლონ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისრის, მიშელ ბაჩელეტის განცხადებით, ვირუსი არაერთი სახელმწიფოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ კლინიკებსა და მოხუცებულთა თავშესაფრებში დაფიქსირდა. მისივე თქმით, „მთავრობამ უნდა განიხილოს მოწყვლად ჯგუფში შემავალი, დაუცველი პატიმრების გათავისუფლების საკითხი. საუბარია ასაკოვან, სხვადასხვა დაავადებების მქონე პატიმრებსა და არაძალადობრივი დანაშაულისთვის გასამართლებულ პირებზე“.

მსგავსი შინაარსის მოწოდება[41] გაავრცელა ევროპის საბჭომაც, რომელმაც წევრ ქვეყნებს მაღალი რისკის მქონე პატიმრებთან მიმართებით დაუყოვნებლივი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდა, რადგან პრევენციულ ქმედებას ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

პანდემიის გამო, პატიმართა ნაწილის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღეს მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში. მსგავსი ქვეყნების ჩამონათვალში არა მხოლოდ დასავლური ქვეყნები (გერმანია, იტალია, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი, კანადა და აშ) შედის, არამედ ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც გასაკუთრებულად მკაცრი დამსჯელობითი სისტემით ხასიათდება, მაგალითად - ირანი, თურქეთი, ავღანეთი და ა.შ.[42]

[40] იხ. ანგარიში სრულად: http://wp.unil.ch/space/files/2019/06/FinalReportSPACEI2018_190611-1.pdf
[41] იხ. დეტალურად: https://www.coe.int/en/web/commissioner/-/covid-19-pandemic-urgent-steps-are-needed-to-protect-the-rights-of-prisoners-in-europe
[42] იხ. დეტალურად: https://theconversation.com/coronavirus-why-swathes-of-prisoners-are-being-released-in-the-worlds-most-punitive-states-136563

ვირუსის გავრცელების საფრთხიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ 12 მარტს პენიტენციური სამსახურის გენერალურმა დირექტორმა ორკვირიანი სპეციალური პირობების მდგომარეობა გამოაცხადა[43]. კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, ბრალდებულ/მსჯავრდებულებს ხანმოკლე, ასევე საოჯახო და ხანგრძლივი პაემნების უფლებით სარგებლობა შეუჩერდათ. აღნიშნულთან დაკავშირებით, 16 მარტიდან პატიმრებისთვის სატელეფონო საუბრებზე შეღავათი ამოქმედდა. ინიციატივის[44] შესაბამისად, თითოეულ პატიმარს მისთვის კანონით დადგენილ ფასიან დროზე 15-წუთიანი უფასო სასაუბრო დრო დაემატა, რაც პაემნების დროებით აკრძალვიდან გამომდინარე, პატიმრებისთვის გარკვეული შეღავათია. ბრალდებულ/მსჯავრდებულებისთვის სატელეფონო ლიმიტები პატიმრის საშიშროების რისკისა და პენიტენციური დაწესებულების ტიპის შესაბამისად არის დაწესებული. ნახევრად ღია პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებს ულიმიტო ფასიანი სატელეფონო საუბრის უფლება აქვთ, ხოლო განსაკუთრებული რეჟიმის დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულებისთვის, მათი საშიშროების რისკის შესაბამისად, განსაზღვრულია ფასიანი დრო 30 ან 45 წუთი თვეში.

აღნიშნული ნაბიჯი მიზნად ისახავდა იმ შეზღუდვების კომპენსირებას, რაც პატიმრებს პანდემიის გავრცელების შესაჩერებლად აუცილებელ ღონისძიებათა პირობებში შეეხოთ. ამის მიუხედავად, ეს ზომები ვერ ჩაითვლება შეზღუდვების საპასუხოდ, სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულ, პროპორციულ და საკმარის ნაბიჯებად. თავისუფლების აღკვეთის პირობებში ე.წ. პაემნები პატიმართა გარესამყაროსთან ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელსაც გაანსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რესოციალიზაციისთვის. უფასო სატელეფონო საუბრები ამის ალტერნატივად ვერ ჩაითვლება და სახელმწიფომ უნდა მიიღოს შემხვედრი ზომები, რომ ამ შეზღუდვებმა გავლენა იქონიოს სასჯელის მოხდის ვადების შემსუბუქებაზე.

ასევე, 30 მარტს გამოცხადდა სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა განსაკუთრებული მუშაობის რეჟიმზე (ე.წ. ყაზარმული რეჟიმი) გადასვლა[45], რაც მათ გარესამყაროსთან იზოლირებას გულისხმობს. ეს მდგომარეობა, ვირუსის ვაქცინისა და ეფექტიანი მკურნალობის არარსებობის პირობებში, ვერ იქნება მუდმივი, ხოლო საფრთხე ამ მიმართულებით კვლავაც დარჩება. ამიტომ, აუცილებელია, გაეროსა და ევროსაბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები და მაღალი რისკის მქონე პატიმრები (ასაკოვნები, HIV დადებითი სტატუსის, რესპირატორული დაავადებების მქონე და აშ.), რომლებიც არაძალადობრივი დანაშაულებისთვის იხდიან სასჯელს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს საპატიმრო სასჯელებისგან.

საგანგებო მდგომარეობისას, შეწყალების ინსტიტუტი, ასევე, შეიძლება ეფექტიანად იყოს გამოყენებული. ჰუმანიტარული მიზნები, სხვა მიზნებთან ერთად,

[43] იხ. ინფორმაცია: https://imedinews.ge/ge/samartali/131213/tea-tsulukiani-vmushaobt-rom-paemnis-akrdzalvis-kompensireba-satelepono-shegavatebit-mokhdes

[44] იხ. ინფორმაცია: http://www.tabula.ge/ge/story/166957-penitenciuri-samsaxuri-patimrebs-fasian-droze-15-tsutiani-ufaso-sasaubro-dro-daematat

[45] იხ. ვრცლად: https://imedinews.ge/ge/archive?fbclid=IwAR0Zt_p4PKSr2-FCAOig7qQcaqBIFQ7I_N_4go0PAmox45o1x8aU0NoMlzw

ასევე იკითხება ჩვენი კონსტიტუციის დანაწესიდან, რომელიც შეწყალების უფლებამოსილებას არეგულირებს. პრეზიდენტს აქვს საშუალება, დადებითი როლი შეიტანოს პატიმართა უფლებების დაცვასა და მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილებაში.

7 აპრილს, ხარების დღესასწაულთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა 9 მსჯავრდებული ქალი შეიწყალა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებით, „ყველა მსჯავრდებულს ერთი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი ჰყავს, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები კი ძალადობრივ დანაშაულთა კატეგორიას არ განეკუთვნება“[46]. პრეზიდენტმა შეწყალების უფლებამოსილება რელიგიური დღესასწაულის კონტექსტში გამოიყენა და მასში კორონავირუსის გამო შექმნილ კრიზისულ მდგომარეობაზე არაფერია ნათქვამი. შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების ბოლო შემთხვევასაც პატიმართა უკმაყოფილება და საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ადამიანის უფლებათა ცენტრმა არაერთხელ მოუწოდა[47] პრეზიდენტის ადმინისტრაციას მეტი გამჭვირვალობისაკენ, ასევე - პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლებამოსილების გამოყენებისას საქართველოს მოქალაქეებისადმი ანგარიშვალდებულების გათვალისწინებისკენ.

მედიის მუშაობა საგანგებო მდგომარეობისას

დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოში საგანგებო მდგომარეობის პირობებში მედიაზე შეზღუდვების გავრცელების მინიმალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ საგანგებო მდგომარეობისას, აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუცია უშვებს ინფორმაციის გავრცელებაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებას, ამ შემთხვევაში, სამართლებრივად სწორად, საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვები მედიის წამომადგენლებს არ შეხებია. მათ არც კომენდანტის საათის დამატებითი შეზღუდვები და არც მსუბუქი ავტომობილების გადაადგილების აკრძალვა შეხებიათ.

ცალკე შეფასების საგანია თავად მედიასაშუალებათა მიერ სწორი ინფორმაციის გავრცელებისა და ჟურნალისტთა სამოქალაქო პასუხისმგებლობა. აღნიშნულის მნიშვნელობაზე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განცხადებაც[48] მოწმობს, რომლის მიხედვითაც, ამ რთულ პერიოდში ისინი არა მარტო კორონავირუსის პანდემიას ებრძვიან, არამედ – ინფოდემიასაც. არასწორი ინფორმაციაც პანდემიურ საშიშროებაზე მიანიშნებს, რამაც შესაძლოა, ვირუსთან ბრძოლა გაართულოს. ამ მიმართულებით, უნდა აღინიშნოს ქართული მედიასაშუალებებისა და ჟურნალისტების

[46] იხ. ვრცლად https://netgazeti.ge/news/441247/

[47] ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=20132&lang=geo&fbclid=IwAR3IhReAA198M9YyfrI1bA2zuxLXhD3TsbpxTGkec7kQ8v0JdWc367h5sd4

[48] იხ. ვრცლად: https://www.thelancet.com/journals/lancet/article/PIIS0140-6736(20)30461-X/fulltext

დიდი ნაწილის მაღალი ეთიკური სტანდარტის გამოვლენა და ინფორმაციის სწორად გავრცელების ხელშეწყობა.

კრიტიკულად უნდა შეფასდეს საგანგებო მდგომარეობის პირობებში აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში, ტელეკომპანიის ხელმძღვანელის მიერ რეპრესიული პოლიტიკის გაგრძელება და სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობაში უხეში ჩარევა. ამის ნათელი მაგალითია 2020 წლის 21 აპრილს ახალი ამბების სამსახურის გამოშვების წამყვან/რეპორტიორ თეონა თურმანიძის მიმართ დაწყებული დისციპლინური წარმოება და მისი დროებით ჩამოშორება ეთერიდან, მის მიერ 2020 წლის 14 აპრილს სოციალური ქსელის (FACEBOOK) საკუთარ ანგარიშზე გამოქვეყნებული პოსტის გამო. ბოლო სამი თვის განმავლობაში მაუწყებლის ხელმძღვანელობის მხრიდან მსგავსი არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, ასევე დაიხურა კრიტიკული გადაცემა „ჰაშთეგი“. აღნიშნული გადაწყვეტილებები კრიტიკულად შეაფასა ადგილობრივმა[49] (Media Institute, HRC, EMC...) და საერთაშორისო ორგანიზაციებმა[50] (OSCE, CoE, RWB). მნიშვნელოვანია, რომ დაუყოვნებლივ აღიკვეთოს მაუწყებლის ხელმძღვანელობის მანკიერი პრაქტიკა და არ მოხდეს მათი მხრიდან საგანგებო მდგომარეობით შექმნილი სიტუაციის ბოროტად გამოყენება.

კორონავირუსის ზეგავლენა სასამართლოს ხელისუფლების ფუნქციონირებაზე

2020 წლის 13 მარტს, ქვეყანაში საგანგებო მდგომარების გამოცხადებამდე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო რეკომენდაციები კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ[51], რომლის საფუძველზეც სასამართლო სისტემა ეტაპობრივად უნდა გადავიდეს საქმეთა განხილვის დისტანციურ რეჟიმზე.

2020 წლის 16 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, შეზღუდვების დაწესებაზე ბრძანება გამოსცა. მასში წერია, რომ საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიებმა უნდა უზრუნველყონ საქმეების განხილვის გადადება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა განხილვის ვადების გათვალისწინებით, გარდა შემჭიდროვებულ ვადებში განსახილველი საქმეებისა[52].

შემდგომში კი, საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2020 წლის 21 მარტს გამოცემული დეკრეტი N1-ით განისაზღვრა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის

[49] მედიის ინსტიტუტის და ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20072&lang=geo&fbclid=IwAR2O6Oy-LMvwpIgfHUmSeYAgM7chjPdHR2rJOGRmlk2-jtLXSOXaaNzgUUY

[50]: ინფორმაცია ვრცლად: https://agenda.ge/en/news/2020/730

[51]იხ. კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად სასამართლო სისტემაში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციები: https://bit.ly/355pyTF.

[52] იხ. ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ მის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ: https://bit.ly/35cggoL.

საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომები შესაძლებელია, გაიმართოს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მოწესრიგებისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობის მხრიდან სრულად შეიზღუდა სხდომებზე დაინტერესებული პირების, მათ შორის - მონიტორების დასწრება. ასევე, სასამართლოს მხრიდან ადგილი ჰქონდა არაერთგვაროვან მიდგომას - ზოგიერთი მოსამართლე სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლებას აძლევდა დამკვირვებელი ორგანიზაციების მონიტორებს, ხოლო მოსამართლეთა უმრავლესობა, რეგულაციებზე არასწორი აპელირებით, მათ უკრძალავდა, დაკვირვებოდნენ სხდომის მიმდინარეობას, რაც ცალსახად გულისხმობს არსებული რეგულაციების უგულვებელყოფას და მანკიერი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. მსგავსი შეზღუდვები შეეხო ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებსაც, რომლებიც იმ სასამართლო პროცესებს აკვირდებიან, სადაც სავარაუდო პოლიტიკური მოტივი იკვეთება.

2020 წლის 24 მარტს ადამიანის უფლებათა ცენტრმა განცხადება გაავრცელა და მოუწოდა საერთო სასამართლოებს, პრეზიდენტის დეკრეტით გათვალისწინებული სასამართლო პროცესების დისტანციური წარმართვისას უზრუნველყონ ყველა პროცესის საჯაროობა[53]. ამავე მოთხოვნით 2020 წლის 13 აპრილს განცხადება[54] გაავრცელა კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“.

ცხადია, გასაზიარებელია არსებული მდგომარეობის სირთულე და მათ შორის - სასამართლო სისტემის წინაშე არსებული გამოწვევები, მაგრამ სხდომათა სრულად ან ნაწილობრივ დახურვის პრაქტიკა, კონკრეტული გამონაკლისების გარდა, რაც გაწერილია კანონმდებლობაში, ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოსა და კანონის უზენაესობის პრინციპს და საფრთხეს უქმნის პირის უფლებას, ისარგებლოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით. ამავე დროს, საგანგებო მდგომარეობით გათვალისწინებული მოწესრიგება, სასამართლოთა მხრიდან, პრაქტიკაში არ უნდა აღსრულდეს ისე, რომ სხდომები ჩატარდეს საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სტანდარტების უგულებელყოფით.

2020 წლის 3 აპრილს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ ხვიჩა კიკილაშვილი აირჩია[55]. უზენაესი სასამართლოს პლენუმს კანდიდატი წარედგინა საგანგებო მდგომარეობის პირობებში, როდესაც ფაქტობრივად შეუძლებელი იყო პროცესზე საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ კონტროლის

[53] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება საგანგებო მდგომარეობის პირობებში სასამართლო პროცესების წარმართვის ხარვეზებთან დაკავშირებით: https://bit.ly/2xZch2E.

[54] იხ. განცხადება საგანგებო მდგომარეობის პირობებში საერთო სასამართლოებში პროცესების დახურვისა და სხვა სახის ხარვეზების თაობაზე: https://bit.ly/2S97aUE.

[55] ib. http://www.supremecourt.ge/news/id/2062.

განხორციელება, რასაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან მწვავე კრიტიკა მოჰყვა[56].

საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება

საქართველოს კონსტიტუცია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას მთელ რიგ წინაპირობებს უკავშირებს, მაგრამ არაფერს ამბობს, თუ რამდენი ხანი შეიძლება გაგრძელდეს ასეთი რეჟიმი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საგანგებო მდგომარეობა არსებული კრიზისიდან გამომდინარე ცხადდება და კრიზისის ხანგრძლივობის წინასწარი განჭვრეტა შეუძლებელია. შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობა უნდა გაგრძელდეს იმ ვადით, რაც საჭირო იქნება იმ პრობლემის აღმოსაფხვრელად, რისთვისაც იგი არის შემოღებული. დასაბუთებულობის სტანდარტს კონსტიტუცია ამ შემთხვევაშიც უცვლელს ტოვებს. ამ შემთხვევაშიც, კონსტიტუცია ძალაუფლების უზურპაციის რისკებს სხვადასხვა გზით აზღვევს და ასეთი მდგომარეობის გამოცხადებისთვის საჭიროდ ადგენს ხელისუფლების სამი ინსტიტუტის (მთავრობა, პრეზიდენტი, პარლამენტი) კუმულაციურ თანხმობას. კონსტიტუცია, ასევე, არ ითვალისწინებს საკარანტინო რეჟიმის გაგრძელებასთან დაკავშირებით რაიმე შეზღუდვას. ამ შემთხვევაშიც, ხელისუფლებამ კარანტინის გაგრძელების მიზანშეწონილობა, მისი გამოცხადების მიზეზთან შესაბამისობით უნდა განსაზღვროს.

კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში 21 მარტს, საქართველოში საგანგებო მდგომარეობა ერთი თვის ვადით გამოცხადდა. ამავე ვადით ქვეყანაში ე.წ. კომენდანტის საათი და მკაცრი საკარანტიო რეჟიმი მოქმედებდა. ამასთან, შემდგომ დამატებით ჩაიკეტა საქართველოს 4 დიდი ქალაქი - თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და რუსთავი და მთელი ქვეყნის მასშტაბით აიკრძალა ავტომობილით გადაადგილება. დაავადებულთა გამოვლენასთან ერთად, ამ დროის განმავლობაში, განსაკუთრებული საკარანტინე ზომები იქნა მიღებული საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, დაინფიცირებულ ადამიანთა რაოდენობა მაინც გაიზარდა. ამიტომ, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, საგანგებო მდგომარეობა 22 მაისამდე გადავადდა[57], რასაც ჯერ საქართველოს პრეზიდენტმა, შემდგომ კი, 2020 წლის 22 აპრილს, საქართველოს პარლამენტმა, თავისი სრული შემადგენლობის უმრავლესობით, 97-ით 10-ის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა.

ამ შემთხვევაში, მხარდამჭერთა შორის არ იყვნენ ენმ-ისა და „ევროპული საქართველოს“ ფრაქციების წევრები. მათი განმარტებით, საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებას მხარს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერდნენ, თუკი ხელისუფლება ჯერ დაანონსებულ ანტიკრიზისულ გეგმას წარმოადგენდა, რაც ხელისუფლებამ მხოლოდ 27 აპრილს განახორციელა.

[56] იხ. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართვა უზენაესი სასამართლოს პლენუმისადმი: https://bit.ly/2S9ql0i.
[57] იხ. პარლამენტის დადგენილება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის N2 ბრძანების დამტკიცების თაობაზე: https://bit.ly/2SmjX68

ხელისუფლების მიერ ანტიკრიზისული გეგმის წინმსწრები წარმოდგენა მნიშვნელოვანი იქნებოდა არა მხოლოდ ოპოზიციური პარტიებისთვის, არამედ საზოგადოების სრული მხარდაჭერის მოსაპოვებლადაც. ამის მიუხედავად, იგივე კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რითაც შეფასდა 21 მარტს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, შეიძლება ითქვას, რომ მისი გაგრძელებაც სამართლებრივად პრობლემური არ არის, ინფექციის გავრცელების სტატისტიკისა და პანდემიის რეალური საფრთხიდან გამომდინარე.

ანტიკრიზისული გეგმა

ქვეყანაში ახალი კორონავირუსის ეპიდემიის გავრცელებისა და მასთან საბრძოლველად გატარებული მტკივნეული ღონისძიებების ფონზე, რამაც ათასობით ადამიანი სარჩოს გარეშე დატოვა და უკვე აისახა ნეგატიურად ქვეყნის ეკონომიკაზე, საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება ლოგიკურად ეთმობა მთავრობის მიერ წარმოდგენილ ანტიკრიზისულ გეგმას.

24 აპრილს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საზოგადოებას კორონავირუსით გამოწვეულ კრიზისთან გამკლავების ეკონომიკური გეგმა გააცნო, რომლის შესასრულებლად, პრემიერის განცხადებით, მთავრობა 3.5. მილიარდ ლარს დახარჯავს. გეგმა მოიცავს როგორც ფინანსურ დახმარებას იმ პირებისთვის, რომლებმაც შექმნილი ვითარების გამო სამუშაო დაკარგეს, ასევე, ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებსა და არსებული შეზღუდვების მოხსნის ექვს ეტაპს.

გეგმის მიხედვით covid-19-თან ბრძოლის ბიუჯეტი, ძირითადად 3 მიმართულებით გაიწერა:

1. *მოქალაქეებზე ზრუნვა და მათი სოციალური მხარდაჭერა (1 მილიარდ 35 მილიონი ლარი);*
2. *ეკონომიკაზე ზრუნვა და მეწარმეობის მხარდაჭერა (2 მილიარდ 110 მილიონი ლარი);*
3. *ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება და პანდემიასთან ბრძოლა (350 მილიონი ლარი).*

პირველ ეტაპზე გეგმა ითვალისწინებს ძირითადად იმ ღონისძიებათა ფინანსურ მხარდაჭერას, რაც მთავრობას დაწყებული აქვს: გადასახადების სუბსიდირება, ტურიზმის სექტორის დახმარება, ავტომობილების განბაჟებისა და საბანკო სესხების გადავადება. მეორე ეტაპზე გეგმა ითვალისწიებს დახმარებებს უმუშევრად დარჩენილთათვის, სოციალურ დახმარებებს, პენსიებს, კერძო სექტორის დახმარებასა და სოფლის მეურნეობის დახმარებას.

რაც შეეხება შეზღუდვების მოხსნას, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 24 აპრილს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ შეზღუდვები ქვეყანაში რამდენიმე ეტაპად მოიხსნება და ეკონომიკაც გაიხსნება. მისი თქმით, პირველი ეტაპი 27 აპრილს დაიწყება, ეტაპებს შორის შუალედი კი 2 კვირა იქნება. ამასთანავე, გათვალისწინებული იქნება ქვეყნის ეპიდემიოლოგიური სიტუაცია.

მისასალმებელია ანტიკრიზისული გეგმაში პრობლემათა დანახვის სპექტრის გაფართოვება და სახელმწიფოს მიერ სოციალური პასუხისმგებლობის აღება, რაც ასევე განაპირობა უცხოელი პარტნიორებისა და დონორების მიზნობრივმა დახმარებებმა.

მნიშვნელოვანია, რომ გეგმის მიზნობრივი დახმარების ჯგუფი, მხოლოდ ფორმალურ სექტორში დასაქმებულებით არ შემოიფარგლა. ამავდროულად, მთავრობის მიერ წარმოდგენილი გეგმა, უნივერსალურობის პრინციპის უგულებელყოფით, წინასწარ სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირებას გულისხმობს, რაც გაართულებს არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა იდენტიფიკაციას. ცხადია, ასეთ დროს, ამ პირებისათვის ბევრად უფრო რთული იქნება, დაასაბუთონ, რომ ისინი ნამდვილად იყვნენ დასაქმებულნი. გეგმა ამ პრობლემასთან დაკაშირებულ საკითხებს ბუნდოვანს ტოვებს. მეორე მხრივ, არსებული სოციალური დაცვის სისტემებში პრობლემების დანახვა, აჩენს იმედს, რომ ხელისუფლება გამოასწორებს ხარვეზიან პრაქტიკას, რის შემდეგაც გამარტივდება მსგავსი ჯგუფებისა თუ პირების იდენტიფიკაცია.

გეგმის მიხედვით, სოციალური დახმარების მიმღები ყველაზე მოწყვლადი ოჯახებიდან (0-დან 65,000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით) დახმარებით ისარგებლებენ მხოლოდ ის ოჯახები, რომელთაც სამი და მეტი, 16 წლამდე ასაკის შვილი ჰყავთ. ასეთი მიდგომა, ასევე, არ პასუხობს რეალურ გამოწვევას, რაც მსგავსი სხვა ოჯახების წინაშე დგას.

პრობლემურია გეგმის სოციალური ნაწილით გათვალისწინებული ფულადი დახმარების არაერთგვაროვანი გადანაწილება დასაქმებულსა და თვითდასაქმებულს შორის. გეგმის მიხედვით, თვითდასაქმებულისთვის ერთჯერადი დახმარების სახით 300 ლარია გამოყოფილი, როცა დაქირავებით დასაქმებულისთვის ეს თანხა 6 თვის განმავლობაში 1200 ლარია. ეს მიდგომა ვერ ჩაითვლება სამართლიანად იმ თვითდასაქმებულთათვის, რომლებიც შემოსავლის წყაროს დაკარგვის მაღალი რისკის ქვეშ დგანან.

გეგმა არ შეხებია უამრავ მოწყვლად ჯგუფს, რომლებსაც ასევე ესაჭიროებათ სახელმწიფოს განსაკუთრებული მხარდაჭერა. მაგალითად შშმ პირებს, ბავშვებს, უსახლკარო ადამიანებს. შესაბამისად, მოწყლად ჯგუფთა დახმარების და გაძლიერების მიზნით, აუცილებელია, ანტიკრიზისული გეგმის სიკეთეები მათზეც გადანაწილდეს. ასევე, გასათვალისწინებელია ეკონომიკური რეცესიის ქალთა უფლებებზე განსაკუთრებული გავლენა და სიღარიბის ფემინიზაცია[58], რაც ამ გეგმის მიღმა დარჩა.

ასევე, აუცილებელია, სახელმწიფომ ანტიკრიზისული გეგმის სოციალურ ნაწილში მოიაზროს იმ პირებისა და ოჯახების მხარდაჭერა, რომლებიც უცხოეთიდან გზავნილებზე იყვნენ ფინანსურად დამოკიდებულნი და პანდემიის გამო დარჩნენ ამ შემოსავლების გარეშე.

მნიშვნელოვანია ქვეყანა მზად შეხვდეს კორონავირუსის გამო უმუშევრად დარჩენილი მიგრანტების დაბრუნებას და მათი სოციალური გარანტიები არ იქნას

58 https://www.ohchr.org/Documents/Issues/Development/IEDebt/20200414_IEDebt_urgent_appeal_COVID19_EN.pdf

უგულვებელყოფილი. მეტიც, აუცილებელია სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერება, სურვილის შემთხვევაში, უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების დასაბრუნებლად.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მიერ მოქალქეთა მხარდაჭერა ბანკებში ფინანსური ვალდებულებების გადავადებაზე და რესტრუქტურიზაციაზე, ასევე შეეხოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ლომბარდებსა თუ სხვა ფინანსურ ინსტიტუტებსაც. მით უფრო, როცა არსებული დაკრედიტების პოლიტიკა და სახელმწიფოს უმოქმედობა მათ ბენეფიციარებს განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის.

აუცილებელია გეგმაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, ადმინისტრირების პროცესის გამარტივება ბენეფიციართათვის და მათი დროულად მიწოდება. ასევე, კრიტიკულად მნიშვნელოვანი როგორც თანხების წარმომავლობის, ისე მისი გახარჯვის შესახებ საზოგადოებისთვის დროული და სრული ინფორმაციის მიწოდება.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, კორონავირუსისგან მომდინარე საფრთხეების თავიდან ასაცილებლად და მისი ნეგატიური ეფექტების შესამცირებლად საჭირო და ეფექტური მექანიზმია და სწორედ ამ აუცილებლობიდან გამომდინარე იქნა შემოღებული, ამ პროცესს ახლავს თანმდევი რისკები და საფრთხეები, რაც უკვე არაერთი პრობლემის მიზეზიც გახდა. ამ საფრთხეების რეალურობა კი უკვე აისახა ათასობით ადამიანის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ჯანდაცვისა და ეკონომიკის სისტემებზე, ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრების წესზე.

შექმნილ ვითარებას განსაკუთრებით ამწვავებს ქვეყანაში არსებული პოლარიზებული პოლიტიკური სპექტრი, პანდემიის გავრცელებამდე არსებული პოლიტიკური კრიზისი, მომავალი არჩევნები და საკონსტიტუციო ცვლილებები, სასამართლო ხელისუფლებასათან დაკავშირებული მწვავე პრობლემები, მედიის თავისუფლებაში ჩარევის არაერთი შემთხვევა, კორუფციის გაზრდილი საფრთხეები და სხვა საკითხები, რაც წინამდებარე დოკუმენტშია შეფასებული.

აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, არ მოხდეს საგანგებო მდგომარეობით შექმნილი სიტუაციის ვიწროპოლიტიკური ინტერესებით გამოყენება.

ვინაიდან სახელმწიფოში არსებული ვითარება მოვლენათა ასეთი განვითარების მაღალი მოლოდინის საფუძველს გვაძლევს, კრიზისის დროს, განსაკუთრებულ როლს იძენს მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მაღალი აქტიურობა.

უმნიშვნელოვანესია, სახელმწიფომ კრიზისიდან გამოსვლისა და პოსტკრიზისული გეგმის სამართლიანობა და სისტემურობა კრიტიკულად შეაფასოს და სწრაფი და მაქსიმალური ეფექტურობის მქონე მექანიზმებით გაწეროს. საქართველოში კრიზისამდე არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ქვეყნის და მოქალაქეების მომავლისთვის.

კრიზისიდან გამოსვლის შესაფასებლად ლაკმუსი არა მხოლოდ კრიზისის დაძლევა, არამედ მისგან გამოსვლისას ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა

იქნება. შესაბამისად, ამ პროცესში, ხელისუფლების ყველა ნაბიჯი თუ მიღებული ზომა დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების დაცვით უნდა განხორციელდეს და მაქსიმალურად უნდა იყოს მიმართული თითოეული ადამიანის პოლიტიკური და სოციალური უფლებების დაცვისკენ.

ადამიანის უფლებათა ცენტრი, თავის მხრივ, გააგრძელებს დაკვირვებას მიმდინარე პროცესებზე და საგანგებო მდგომარეობის დასრულების ეტაპზე შემაჯამებელ ანგარიშს წარმოადგენს.